

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ. ვანი თავისუფლების N 65

22 მაისი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია,
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: თენგიზ დვალიშვილი.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანების“ დირექტორი - **ზვიად მინაშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანი“- ს დირექტორი - **როინ კანკაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დღის წესრიგი

1.ა(ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

მომხს./ლელა ადვიშვილი/

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა ლელა ადეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ა(ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2017 წელში კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ბიუჯეტი იყო 330,0 ათასი ლარი, რომელიც გახარჯული იქნა შემდეგნაირად:

- 1.ცენტრში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა - 232,5 ათასი ლარი.
- 2.შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა 56,8 ათასი ლარი.
- 3.კომპენსაციამ განთავისუფლებულ თანამშრომლებზე შეადგინა -5,7 ათასი ლარი.
- 4.მივლინების ხარჯმა შეადგინა - 1,0 ათასი ლარი.
- 5.ავტოტრანპორტის შენახვის და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2,4 ათასი ლარი.
- 6.ოფისის ხარჯმა შეადგინა - 15,5 ათასი ლარი.
- 7.წარმომადგენლობითი ხარჯმა შეადგინა - 5,3 ათასი ლარი.
- 8.ფინანსური აქტივების ზრდა მოხდა 3,0 ათასი ლარით.
- 9.სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა - 11,7 ათასი ლარი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება 2018 წელს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ბიუჯეტი არის 310,0 ათასი ლარი.

- 1.ცენტრში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა - 72,1 ათასი ლარი.
2. შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულმა ხელფასმა შეადგინა - 19,3 ათასი ლარი.
- 3.მივლინების ხარჯმა შეადგინა - 02 ათასი ლარი.
- 4.ავტოტრანპორტის შენახვის და მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა - 0,9 ათასი ლარი.
- 5.ოფისის ხარჯმა შეადგინა - 5,7 ათასი ლარი.
6. წარმომადგენლობითი ხარჯმა შეადგინა - 2,3 ათასი ლარი.
7. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა - 2,5 ათასი ლარი.

კომისიის წევრებისგან დაისვა კითხვები: რა ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი 2018 წლისთვის? მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წელში დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ღონისძიებები:

კერძოდ:

ფაშიზმზე გამარჯვების 73 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება 9 მაისს თანხა 70 ლარი.

სარვამარტო ღონისძიება 8 მარტი.

ტიციანობა 2 აპრილი 2300 ლარი.

გვირილობა 2 მაისი 170 ლარი.

თეატლური ფესტივალი სპექტაკლი თანხა 8245 ლარი.

გადაწყვეტეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ა(ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/ დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე